ხელშეკრულება
სახლმწიფო შესყიდვის შესახებ N 7

ქ.თბილისი ,,20”,,იანვარი”2020 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ„ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა“, შემდგომში „შემსყიდველი“, დირექტორის მ/შემსრულებლის ელენე შაბურიშვილის სახით და მეორე მხრივ შპს „დეზინსექციის, დეზინფექციის, დერატიზაციის და სტერილიზაციის სპეციალიზებული ეპიდზედამხედველობის ცენტრი“ შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი დირექტორის ეკატერინე ნონიაშვილის სახით, ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციის საჭიროებისათვის დასუფთავება და სანიტარული მომსახურება (CPV კოდი: 90900000) შესყიდვაზე. მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნული მომსახურება 500 (ხუთასი) ლარად. (შემდგომში ,,ხელშეკრულების ფასი“).

3. **შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები**

№	საქონლის/მომსახურების დასახელება	განზ. ერთეული	დამუშავების ჯერადობა წელი	ერთ. ფასი	ჯამი	კლასიფიკატორის კოდი/ქვეკოდი
1	დერატიზაცია 2000 კვ.მ	ცალი	10	50	500,00	90919300
					500,00	

4. მომსახურების მიწოდებელის პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, 2020 წლის 20 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. ადგილი:

4.2.1. მომსახურების მიწოდების ადგილი: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N20

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

5.2. მიწოდებული მომსახურებაზე ანაზღაურება იწარმოება, დადგენილი წესით წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ან/და საგადასახადო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე;

6. შესასყიდი მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მიწოდებისას ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ უფლებამოსილი პირები.

6.2. მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისთვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს 5.2. პუნქტში მითითებული დოკუმენტები(საჭიროებისამებრ).

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს მომსახურების მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებამდე გამოვლენილი დეფექტისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

7.2. ,,შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის“ ადექვატური და დროული ანაზღაურება ხელშეკრულების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა;

8. მხარეთა უფლება

8.1. ,,მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით;

8.2. ,,შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული მომსახურების ხარისხის და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე, ამასთან შემსყიდველი ვალდებულია ფორს–მაჟორული გარემოების დასრულებისთანავე განახორციელოს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია ერთი თვით ადრე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს და ასეთ შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების/გადასახდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით;

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელკშეკრულების ღირებულების 2%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სკოლის დირექტორის მ/შემსრულებელი: ელენე შაბურიშვილი.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხეკშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ;

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით;

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს

16.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან

<u>**მხარეთა რეკვიზიტები**</u>

შემსყიდველი

სსიპ„ქალაქ თბილისის N62 საჯარო სკოლა“
ს/კ #211351605
ს.ს. “ ლიბერთი ბანკი“
ბ/კ # LBRTGE22
ა/ა # GE04LB0121134002649001

დირექტორის მ/შემსრულებელი
ელენე შაბურიშვილი

„მიმწოდებელი“

შპს „დეზინსექციის, დეზინფექციის, დერატიზაციის და სტერილიზაციის სპეციალიზებული ეპიდზედამხედველობის ცენტრი“
ს/კ:211327410
ს/ს„ვითიბი ბანკი“
ბ/კ: UGEBGE22
ა/ა: GE62VT7000000058613602

დირექტორი
ეკატერინე ნონიაშვილი

სსიპ ქალაქ თბილისის #62 საჯარო სკოლის გამარტივებული შესყიდვების მონაწილე პირების ხელწერილი

ქ. თბილისი 20 იანვარი, 2020 წელი

სსიპ ქალაქ თბილისის #62 საჯარო სკოლის“ ბაზრის კვლევაზე პასუხიმგებელი პირი, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი და ხელშეკრულების მიმდინარეობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის დირექტორის მ/შემსრულებელი, გამარტივებულ შესყიდვაში მონაწილე ორგანიზაციასთან (შპს „დეზინსექციის, დეზინფექციის, დერატიზაციის და სტერილიზაციის სპეციალიზებული ეპიდზედამხედველობის ცენტრი“) მიმართებაში, სრულად ვაკმაყოფილებ, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-8 მუხლით დადგენილი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

მალხაზ ავალიანი– მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი;

ელენე შაბურიშვილი - სკოლის დირექტორის მ/შემსრულებელი;